დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან ღურწკაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:

თინათინ ბედუკაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.

ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი.

ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი.

ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.

მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,

ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი.

ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი.

კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)	242263509

საიდენტიფიკაციო კოდი	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი
იურიდიული მისამართი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი
ფაქტობრივი მისამართი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი
საფოსტო ინდექსი	5001
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	akhuti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591 053888

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 23 0000858739, 11/07/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 08 და 09 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანამანთლებლო საფეხური	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანამანთლებლო საფეხური	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანამანთლებლო საფეხური	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ✓ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	✓ **შეესაბამება**

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ✓ **მეტიწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ✓ **მეტიწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ✓ **მეტიწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	✓ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	✓ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 240	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

სტანდარტი N2	საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

სტანდარტი N2	საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმ	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	***30.06.2024 მდე*** *სკოლამ უნდა დაამტკიცოს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.* ***30.06.2024 მდე*** *სკოლამ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან უნდა გამოითხოვოს სკოლის შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.* ***(შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ).*** ***30.06.2024 მდე*** *სკოლამ უნდა განახორციელოს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		მართვის სამსახურის დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები.
ინდიკატორი N 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	***30.06.2024 მდე** სკოლამ უნდა უზრუნველყოს ეტლითმოსარგებლე პირების საერთო სარგებლობის სივრცეებში (კომპიტერული და საბუნებიმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა) დამოუკიდებლად შელწევა და სარგებლობა.*
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ინფომაცია, კონკრეტულად: სკოლის სტუქტურა, მხარდაჭერი სერვისები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, ინფრასტრუქტურა, ფინასები, სკოლის ფოტო.	*სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სკოლის ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება. ასევე 29.12.2023 - მდე სკოლამ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცის განთავსება ვებგვერდზე.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	*სასურველია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწეროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პროცედურები.*
ინდიკატორი N 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	*სასურველია სკოლამ შექმნას სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების პროცედურები, ასევე გაწეროს სამოქმედო და ფინასური გეგმა.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*რჩევა*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N 3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	*სასურველია სკოლში შემუშავებული პრევენციის და ინტერვენციის პოლიტიკა გამთლიანებულ იქნეს ერთ დოკუმენტში.*
ინდიკატორი N 3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო	*სასურველია, თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან უკეთ ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად გაწერონ პროცედურები.*
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*ვინაიდან სკოლის დირექტორს ან დირექტორის მოადგილეს გაუჭირდება ძირითად ფუნქციებთან სკოლაში უსაფრთხოების საკითხების შეთავსება, სასურველია აღნიშნული პოზიცია შეითავსოს სკოლის სხვა თანამშრომელმა.*
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*სკოლას მიეცა რჩევა, რათა გაფორმდეს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N 4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	*სასურველია სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუმენტები/მექანიზმები*

სტანდარტი N2	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
2.1.1.4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ		*სასურველია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ზოგადია, სკოლამ გახადოს სპეციფიკური, თავის საჭიროებებს მორგებული და გაწეროს კონკრეტული მექანიზმები, ნაბიჯები, აქტივობები, რომლითაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამონაწილეობის პრინციპების რეალიზებას კურიკულუმის შემუშავება-გაზიარების პროცესში.*
N2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი	*სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგმა იხელმძღვანელოს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში საგნობრივი გზამკვლევის რესურს 1-ზე დაყრდნობით, კურიკულუმის ჩარჩოში სვეტების შინაარსი გადაიხედოს და რელევანტურად დალაგდეს, სვეტში „მაგალითები შედარებისთვის“ ჩარჩოში წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითების ბმულები მიეთითოს და ყველა ბმული იხსნებოდეს, გასწორდეს მექანიკური შეცდომები.*
2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები	ბუნებისმეტყველების კურიკულუმი	*სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში ყველა საკითხთან მიმართებით განისაზღვროს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები,*

წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარები *2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	სპორტის კურიკულუმი, ბუნებისმეტყველების (I-VI კლასები) კურიკულუმი	*მიეთითოს ზუსტი დასახელება, ინტერნეტ რესურსის შემთხვევაში ასევე ელექტრონული მისამართი.* *სასურველია, სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად შეივსოს ჩარჩო კურიკულუმი - თემის ფარგლებში გამოიყოს მთავარი საკითხი/საკითხები, განისაზღვროს კონტექსტ მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა, V-VI კლასებისთვის კი მაგალითები შედარებისთვის.* *სასურველია, შემუშავდეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
2.2.2. სასწავლო პროცეს ეფუძნება საგნობრივი სტანდარტები გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი	*სასურველია, მოხდეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, მომზადდეს განხორციელებულ პროექტებზე რეფლექსია*

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი	*სასურველია, სწავლებაში გამოყენებულ იქნეს სოციო-ემოციური სწავლების მეთოდები*
2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სპორტის კურიკულუმი	*სასურველია, სკოლამ დახვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. განმსაზღვრელი შეფასება გაწეროს თემების მიხედვით რომელიც იქნება მიმართული სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისაკენ.*
2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი	*სასურველია, შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის*
2.3.1.3 მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სპორტის კურიკულუმი	*სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.*
2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი	*სასურველია, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განხორციელდეს მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური*

		ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, გამოკითხვები, ინტერვიუები, პედაგოგიური კვლევები

სტანდარტი N2	საბაზო საფეხურის კურიკულუმი	*რჩევა*
2.1.1.4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ		*სასურველია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ზოგადია, სკოლამ გახადოს სპეციფიკური, თავის საჭიროებებს მორგებული და გაწეროს კონკრეტული მექანიზმები, ნაბიჯები, აქტივობები, რომლითაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამონაწილეობის პრინციპების რეალიზებას კურიკულუმის შემუშავება-გაზიარების პროცესში.*
2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის მიმართულებით სავალდებულო თემაში მთავარი საკითხები ისე შეირჩეს, რომ თემაში ყველა გრძელვადიანი სამიზნე ცნება დამუშავდეს;* *კურიკულუმის ჩარჩოს პირველ სვეტში მიეთითოს თემების დასახელება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს;*

		დაზუსტდეს თემაში რომელი სამიზნე ცნება მუშავდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით - თემატური ინდიკატორებით; *გამრავალფეროვნდეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის საჭირო რესურსები, მიეთითოს რესურსის ზუსტი დასახელება და ინტერნეტ რესურსის შემთხვევაში დასახელება და ელექტრონული მისამართი;* *სასწავლო წლის დაწყებამდე შეივსოს კურიკულუმის ჩარჩო. საკითხის შესაბამისად განისაზღვროს კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.*
2.1.2.4 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	*სპორტი,* *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
2.2.2.3 შეფასების სისტე ორიენტირებულია მოსწავლ ჰოლისტური განვითარებ მხარდაჭერაზე	*სპორტი*	*სასურველია, სკოლამ დახვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. განმსაზღვრელი შეფასება გაწეროს თემების მიხედვით, რომელიც იქნება მიმართული სამიზნე ცნებებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისაკენ.*

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	*სასურველია, ბიოლოგია-ქიმია-ფიზიკის მიმართულებით სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს ინდიკატორებს თემის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ყალიბდება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით მოლოდინების სახით სოლო ტაქსონოიის მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე.*
2.3.1.3 მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	*სპორტი*	*სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.*
2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	*უცხოური ენები*	*სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაკონკრეტდეს თემების მიხედვით*

სტანდარტი N2	საშუალო საფეხურის კურიკულუმი	*რჩევა*
2.1.1.4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ		*სასურველია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ზოგადია, სკოლამ გახადოს სპეციფიკური, თავის საჭიროებებს მორგებული და გაწეროს კონკრეტული მექანიზმები, ნაბიჯები, აქტივობები, რომლითაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა*

		და თანამონაწილეობის პრინციპების რეალიზებას კურიკულუმის შემუშავება-გაზიარების პროცესში.
2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;		*სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს შექმნისას თავიდანვე განისაზღვროს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის საჭირო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, მიეთითოს რესურსის ზუსტი დასახელება და ინტერნეტ რესურსის შემთხვევაში დასახელება და ელექტრონული მისამართი.* *სასურველია, სასწავლო წლის დაწყებამდე შეივსოს კურიკულუმის ჩარჩო. საკითხის შესაბამისად განისაზღვროს კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.*
2.1.2.4 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	*სპორტი,* *მათემატიკა,* *საზოგადოებრივი მეცნიერებები* *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა)*	*სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაკონკრეტდეს თემატური ერთეულების ფარგლებში* *სასურველია, დახვეწოთ შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოთ ინდიკატორებს თემის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავთ შეფასების კრიტერიუმებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ყალიბდება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით მოლოდინების სახით სოლო ტაქსონომიის მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე.*

2.2.2.3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	*სპორტი*	*სასურველია, სკოლამ დახვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. განმსაზღვრელი შეფასება გაწეროს თემების მიხედვით რომელიც იქნება მიმართული სამიზნე ცნებებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისაკენ*
2.3.1.3 მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.		*სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის N1 საჯარო სკოლას (შემდგომში სკოლა) **სასკოლო სასწავლო გეგმაში** გაწერილი აქვს მისია საფეხურების მიხედვით, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ვინაიდან სკოლას არ ქონდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, ის მოქმედებდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა **მისია, ხედვა, ღირერბულებები.** ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისიის, ხედვისა და ღირებულების ჩამოყალიბება, ამისათვის სკოლაში შექმნილია **სპეციალური მუშა ჯგუფი,** რომელიც მუშაობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს შესაბამისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესამუშავებად. ამ მიზნის მისაღწევად ჯგუფმა გამოკითხა სასკოლო საზოგადოება რათა გაითვალისწინოს მათი ინტერესები და მიიღოს რეკომენდაციები. სპეციალური მუშა ჯგუფი, სასკოლო საზოგადოების დაგეგმვის პროცესებში მაქსიმალური ჩართულობით უზრუნველყოფს სკოლის ყველა რგოლის შესაძლებლობებისა და ნება-სურვილის გათვალისწინებას. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
   სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებები
   შეესაბამება

2. სკოლა აქტიურად მუშაობს, რათა უზრუნველყოს ყველა მოსწავლის პოზიტიური, უსაფრთხო და სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეთა კრეატიულობა პრიორიტეტულია, ძირითადი ორიენტირია მოსწავლის წიგნიერების განვითარება, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლაში ფუნქციონირებს წიგნიერების კლუბი „საღებო“, „კარცერ-ლუქსი“, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებას. კლუბში გაერთიანებულია სიახლეებით დაინტერესებული მოსწავლეები, მათი **ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.** სამომავლოდ აქვთ იდეა, რომ მოიწვიონ სხვადასხვა პროფესიის წარმატებული წარმომადგენლები,

რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებდნენ კლუბის წევრ მოსწავლეებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ის ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ასევე შექმნილია პიროვნების განვითარებისათვის საჭირო სოციო-კულტურული სივრცე, სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი, რომელიც ზრუნავს სსსმ მოსწავლეთ სოციო-კულტურულ განვითარებაზე. მოსწავლეთ სოციო-კულტურულ განვითარებაზე ზრუნავენ საგნის მასწავალებლები და კლასის დამრიგებლბები, რომელთა ფუნქცია- ვალდებულებები გაწერილია, როგორც სკოლის შინაგანაწესში, ასევე სადამრიგებლო პროგრამაში.

შეესაბამება

3. სკოლა ამ ეტაპზე მუშაობს ახალ მისია, ხედვა ღირებულებებზე, შექმნილია დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფი, დოკუმენტი ცნობილი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის, გაიწერება სასკოლო სასწავლო გეგმაში. დირექცია თვლის, რომ არსებული დოკუმენტის შექმნაში უკეთესი იქნება, თუ აქტიურად ჩაერთვება მთელი სასკოლო საზოგადოება, რაც ხელს შეუწყობს ამ დოკუმენტის სრულყოფას. სკოლის დირექცია მიიჩნევს, რომ გუნდურად შემუშავებული ხედვა, მისია და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის მიმართ მეტ თანაგანცდას და შესრულებაზე მაღალ პასუხისმგებლობას განაპირობებს. სპეციალური მუშა ჯგუფმა მოახდინა საზოგადოების გამოკითხვა (გამოკითხულ იქნა 86 ბენეფიციარი), რითაც გაარკვიეს თუ რამდენად მოსწონთ ან არ მოსწონთ არსებული დოკუმენტი, გამოკითხვისთვის გამოიყენეს (Forms-ში) წინასწარ შედგენილი კითხვარები, სადაც მშობლებმა და მოსწავლეებმა გამოხატეს საკუთარი თვალსაზრისი, რის საფუძველზედაც ჯგუფი დაამუშავებს მიღებულ მონაცემებს, შედეგად არსებული დოკუმენტი დაიხვეწება.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. სასურველია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიში გაწეროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პროცედურები.

შეესაბამება

4. **სპეციალური მუშა ჯგუფი გეგმავს** სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების, რადგანაც ის გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე,

შეესაბამება.

5. სკოლა მუშაობს მისიის განახლებაზე, ამჟამინდელი მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, კონცეპტუალური ნაწილი გაცნობილია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მეტი ხელმისაწვდომობისათვის, სკოლა აპირებს, ეს დოკუმენტი გააზიაროს სოციალურ გვერდზე და გამოაკრან თვალსაჩინო ადგილას.

   შეესაბამება.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დ აწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა სკოლის სახელწოდება და შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს-სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის N 1 საჯარო სკოლა.

   შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მუშა ჯგუფის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის განრიგი-შესაბამისობის ცხრილი;
- სკოლის სოც. გვერდი;
- N 2-01 ბრძანება;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება №2-48.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სტრატეგიული დაგეგმარების პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები:

   სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს:

გუნდური მუშაობა - სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი ხორციელდება გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას, პროცესში ჩართული/დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას და საშუალებას მისცემს მათ სკოლის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას.

თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, რაც უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას;

გამჭვირვალობა - სტრატეგიული დაგეგმარებისას და შეფასებისას ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში.

სამართლიანობა - ნებისმიერი გადაწყვეტილება ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს.

მიზანშეწონილობა - ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად, ღრმა ანალიზის საფუძველზე. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ფინანსური თუ სხვა რაციონალური ნიშნით ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღება.

სოციალური პასუხიმგებლობა - სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებულ იქნება სოციოკულტურული გარემო, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებები და დაგეგმილი საქმიანობით დადებით წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

შეესაბამება

2. სკოლა ამ ეტაპზე მუშაობს მომავალი სასწავლო წლის მისია, ხედვა და ღირებულებების ახლებურ ვერსიაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სკოლაში შექმნილი ჯგუფი ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს შვიდწლიან გეგმას, სადაც პრიორიტეტები გაწერილი იქნება მისია, ხედვა ღირებულებებთან შესაბამისობით.
სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული გეგმა რომელიც არის შვიდწლიანი და ციკლური.
შეესაბამება

3. სკოლას 2022-2023 სასწავლო წლისთვის აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. რადგანაც ამ ეტაპზე სკოლის ჯგუფი მუშაობს მისია, ხედვა, ღირებულებების განახლება-მოდიფიცირებაზე, ახალი სასწავლო წლისთვის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სწორედ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით იქნება შემუშავებული. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მოსწავლეთა ინტერესებისა და პრიორიტეტების, თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით, სკოლას ექნება საჭიროებაზე მორგებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის ჯგუფი თანამონაწილეობისა და გუნდურობისთვის გამოიყენებს კითხვარებს, უკუკავშირს გავითვალისწინებენ დოკუმენტის შექმნისას. **სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელიც ეფუძნება შვიწლიან გეგმას**

შეესაბამება

4. სკოლის მიერ შემუშავებული **2022-2023 სასწავლო წლის** სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები. გეგმაში არ არის გათვალისწინებული **შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება ჯგუფის შექმნაზე;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- წლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი წარმოდგენილ იქნა პროექტის სახით (შესაბამისად ჯერ არ არის დამტკიცებული). სკოლა 2023 -2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზიის სამოქმედო გეგმის შექმნას და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შერჩევას, სადაც **განსაზღვრული იქნება სკოლის ფილოსოფიის რევიზიის, გაზიარებისა და გასაჯაროების პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მისია, ხედვა, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის** დოკუმენტში (პროექტი), თავი 3. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ქვეპროცესები სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი;
- **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;**
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

ამავე დოკუმენტის თავი 8. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ **სამოქმედო გეგმებში ცვლილებები დასაშვებია. სამოქმედო გეგმა შეიძლება შეიცვალოს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, მისიაში/ხედვაში/სტრატეგიულ გეგმებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად და სხვ.**

შეესაბამება

2 სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება (სამეურვეო საბჭო, პედსაბჭო, კათედრები და მოსწავლეთსა თვითმმართველობა), ასევე უკუკავშირს ელოდება მშობელთა სათათბიროსგან, ადგილობრივი თვითმმართველობისაგან და თემისგან, რომლის საფუძველზე სამომავლოდ სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას.

შეესაბამება

3. სტრატეგიული განვითარებისა (პროექტი) და სამოქმედო გეგმების (მოქმედი) განხორციელების შედეგები მოცემულია სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებში. სკოლას გეგმები გაზიარებული აქვს ბლოგზე და ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ, განახორციელებს მათ გადატანას ხსენებულ სივრცეში.

შეესაბამება

4. სკოლამ სტრატეგიული განვითარებისა მეთოლოგია (პროექტი) და სამოქმედო გეგმა (მოქმედი) განიხილა სასწავლო წლის ბოლო შემაჯამემებელ პედსაბჭოზე სადაც წარმდგენილ იქნა ადმინისტრაციისა, კათედრების და დამრიგებლების წლიური ანგარიშები, რომლსაც სკოლა სამომავლოდ გამოიყენებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების გაუმჯობესებისათვის.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა რომელიც არის საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხიმგებლობის განაწილების საშუალება. სკოლას აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები და ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი თითოეული პიროვნების უფლება მოვალეობები. **სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა განახლებული სრტუქტურა.**

   შეესაბამება

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა იციან მათი უფლება მოვალეობები, რომელიც გაწერილია დებულებებში და ემსახურება საგანმანათლებლო საქამიანობას. მაგალითად,

საგნობრივი კათედრები იკრიბებიან სასწავლო წლის დასაწყისში და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შეიმუშავებენ წლიურ სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც მუშაობენ სასწავლო წლის განმავლობაში.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხელშეკრულებები;
- დებულებები;
- თვითმმართველობის დებულება;
- თანამშრომელთა ინსტრუქციის დამტკიცება;
- ექიმის ხელშეკრულება;
- დარაჯის შრომითი ხელშეკრულება;
- საშტატო;
- სკოლის სტრუქტურა;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- #2-23 თანამშრომელთა მიღების წესი;
- #2-20 თამნამშრომელთა თანანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან, თანამშრომლებთან ურთიერთობის ძირითადი დოკუმენტები: შინაგანაწესი, სკოლის წესდება, ხელშეკრულებები, სადაც არის ძირითადი ნორმები გაწერილი. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება როგორც მასწავლებლებს, ასევე ნებისმიერ სხვა დასაქმებულ პირს (ადმინისტრაციის წევრებს, ტექნიკური პერსონალს), რომელთა კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება იმ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით აქვს სკოლას გაფორმებული მათთან.

შეესაბამება

2. სკოლას პერსონალის ინტერვენციული მართვისთვის აქვს შემუშავებული მექანიზმი, რომელიც არეგულირებს საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, თუ როგორ უზრუნველყოს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე, ისე რომ არ დაზარალდეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები. თითოეული კათედრა იღებს პასუხისმგებლობას, კადრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი, კათედრის შემადგენლობაში შემავალი მასწავლებლები არეგულირებენ ამ პროცესს. თუ შვებულება დასჭირდა მასწავლებელს, მოქმედებენ კანონის შესაბამისად. კათედრაზე თუ ჰყავთ რესურსი, კათედრიდან სხვა მასწავლებელი ანაცვლებს, ეს ყველაფერი აღირიცხება ბრძანების წიგნში, შესაბამისი ნორმების დაცვით. სკოლის ადმინსტრაციასთან გასაუბრების დროს, გაირკვა, რომ მათ გააზრებული აქვთ პრევენციის და ინტერვენციის როლი სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა აღნიშნული მართვის პოლიტიკა გაწერილი არ აქვთ. **სასურველია სკოლში შემუშავებული პრევენციის და ინტერვენციის პოლიტიკა გამთლიანებულ იქნეს ერთ დოკუმენტში.**

შეესაბამება

3. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი კადრების დასაქმების პროცედურა, კერძოდ ახალი ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში კადრის შერჩევა ხდება კონკურსის წესით, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპით, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით, დაცულია მათი კვალიფიციური მოთხოვნები. ახალი კადრის შერჩევის პროცესში სკოლის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებს, რესურსცენტრის, პროფკავშირის და განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, რომლებიც სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმების საშუალებით იღებენ გადაწყვეტილებას კადრის აყვანის ან არაყვანის თაობაზე. შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლამ წარმოადგინა **საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების ბრძანება** .მასწავლებელთა ნაწილს არ ქონდათ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა

შეესაბამება

4. მასწავლების დასაქმებასთან დაკავშირებული პროცესები დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სკოლის სხვა პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმება ხორციელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად. მათი უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში. სკოლამ ვიზიტის პეროდში წარმოადგინა **სკოლაში თანამშრომელთა მიღების წესი, თუმცა მასში არ იყო გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**

შეესაბამება

5. სკოლის ადმინისტრაცია გადაწყვეტილებებს სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობით და თანამშრომლობით ღებულობს. ამ მხრივ ადმინისტრაცია მუშაობის სასკოლო საზოგადოების უკუკავშირების მიღების მექნიზმების შემუშავებაზე. სასკოლო საზოგადოების მუშაობა ეფუძნება გუნდურობას და მონაწილეობის კულტურას, არსებული პრობლემის მოგვარება ხდება გუნდურად, მაგალითად, სასკოლო კურიკულუმზე საგნობრივი კათედრები მუშაობენ ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ქმნიან ახალ დოკუმენტს. გამოკითხვებისა თუ შეხვედრებზე მიღებული ზეპირი კომენტარების საშუალებით, სასკოლო საქმიანობაში ჩართულობის პასუხისმგებლობას იზიარებს გუნდის თითოეული წევრი, მათი პასუხიმგებლობები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში ასევე დებულებებში.

შეესაბამება

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ეფექტიანი მექანიზმი, რაც აისახება სწავლის ხარისხზე. წარმატებული შემთხვევების განხილვა და მათი გაზიარება საშუალებას აძლევს კოლეგებს არა მხოლოდ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები და მიიღონ პასუხები, დაინახონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის ალტერნატივები, არამედ მოტივირდნენ კონსტრუქციული და პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას ხდება კათედრებზე მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის პრეზენტირებით. მაგალითად, წარმატებული კომპლექსური დავალების განხილვა ხდება კათედრებზე. სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროექტში, სადაც მიღებულ გამოცდილებას ლიდერი მასწავლებლები კოლეგებს შეხვედრებზე უზიარებენ, შემდგომ ხდება რესურსების მოძიება, გაზიარება და ამ რესურსების საგაკვეთილო პროცესში გამოყენება. წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის მასწავლებლები ასევე მონაწილეობენ კონფერენციებსა თუ ფორუმებზე. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს რამდენიმე კომპლექსური დავალება იქნა გატანილი კონფერენციაზე. მასწავლებელთა წახალისება ხდება მადლობის გამოცხადებით დირექტორის ბრძანებით. წარმატებული პროექტები, ხელმძღვანელი მასწავლებელები მხარდაჭერილნი არიან სკოლის დირექციისგან, შესაძლებლობის ფარგლებში ხდება მათთვის საჭირო რესურსების მიწოდება.

შეესაბამება

დასტურდება:

- დებულებები;
- თვითმმართველობის დებულება;
- თანამშრომელთა ინსტრუქციის დამტკიცება;
- ექიმის ხელშეკრულება;
- დარაჯის შრომითი ხელშეკრულება;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- #2-23 თანამშრომელთა მიღების წესი;
- #2-20 თამნამშრომელთა თანანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობის სერთიფიკატები;

- ბრძანებები;
- შინაგანაწესი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- თანამშრომლის მიღების წესი;
- თვითმმართველობის დებულება და ქცევის წესები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროების დადგენის მიზნით არაერთ ღონისძიებას მიმართავს: ესწრება საგაკვეთილო პროცესს, სასწავლო თუ სოციალური პროექტების მიმდინარეობას აქტიურად ადევნებს თვალს, კათედრებისგან პერიოდულად იღებს საჭიროებებზე ინფორმაციას, სთავაზობს მასწავლებელს სხვადასხვა ტრენინგზე, კონფერენციებზე

მონაწილეობას. მომავალში სკოლა აპირებს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას საჭიროებათა დასადგენად და შემდგომი ინტერვენციების განხორციელებას. **სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელის** მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. აღნიშნულ დოკუმენტში **მუხლი 6 -ში აღწერილია ადამიანური რესურსის შეფასება, ხოლო მუხლი 7- ში სკოლის ადამიანური რესურსების გაუმჯობესება.**

შეესაბამება

2. სკოლაში პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება - გაანალიზების საფუძველზე დგინდება პერსონალის საჭიროებები და იგეგმება პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. **სკოლაში ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას სკოლის პედაგოგთა მუშაობის პროცესზე დაკვირვება და საჭიროებების გამოვლენა წარმოადგენს.** პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვა-განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით, მაგალითად, პერსონალის განვითარება ხორციელდება გაკვეთილზე გამოვლენილი საჭიროების, რეფლექსიის შესაბამისად. გაკვეთილზე გამოვლენილი საჭიროებიდან, გამომდინარე ერთობლივად განისაზღვრება ამ მიმართულებით გაუმჯობესების გზები. სკოლა ასევე აპირებს შეიმუშაოს პროფესიული საჭიროების დადგენის სხვა მექანიზმები. მაგალითად, ჩაატარებს გამოკითხვას მასწავლებელთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. სკოლის დირექცია შეადგენს კითხვარებს, რომელშიც მასწავლებელი ჩაწერს, თუ რა არის მისი სუსტი და ძლიერი მხარე, რა კუთხით სჭირდება მეტი მუშაობა. გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, დაიგეგმება აქტივობები, რომლებიც გააუმჯობესებს კონკრეტულ საჭიროებებს. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი სადაც გაწერილია მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმები:**
   - სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია;
   - სწავლების მეთოდების შერჩევა;
   - შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
   - მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;
   - საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება;
   - საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

შეესაბამება

3. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალს ყველა შესაბამისი ინფორმაციით კარიერული წინსვლისთვის. ყველა სიახლე, რომელიც კარიერულ წინსვლას ეხება, ზიარდება სკოლის ფეისბუქგვერდზე, მიეწოდებათ მასწავლებლებს ზეპირად, ასევე ეგზავნებათ ფოსტაზეც. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ამისთვის ხორციელდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე, რომელიც იგეგემება საჭიროებიდან გამომდინარე. თითოეულ გაკვეთილზე მასწავლებლებს მიეწოდებათ განმავითარებელი უკუკავშირი. მასწავალებლები სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს ავსებენ თვითშეფასების ფორმებს, სადაც ასახავენ საკუთარ საჭიროებებს, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას, რომლის განხორციელების პროცესშიც სკოლა მხარდამჭერი როლის შემსრულებელია.

შეესაბამება

4. სკოლა ეხმარება ახალ კადრებს, გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რათა სწრაფად შეეგუონ ორგანიზაციის კულტურას, სკოლას აქვს შესაბამისი გარემო მასწავლებელთა ინტეგრაციისთვის სამუშაო პროცესში. შესაბამისი საგნობრივი კათედრები ახალა კადრს ეხმარებიან სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში, აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სხვა კათედრებს, სასკოლო გარემოს, სასკოლო კულტურას, სკოლის ტრადიციებს, რადგანაც, რაც შეიძლება მალე იგრძნოს თავი სკოლის სრულფასოვან წევრად. კლასის დამრიგებლები აცნობენ კლასის საჭიროებებს, მისწარფებებს, შესაძლებლობებს, აწვდიან ინფორმაციას კლასის სოციალური, ფიზიკური თუ გონებრივი მონაცემების შესახებ. ახალი კადრის სკოლაში ინტეგრაციაზე ძირითადად პასუხისმგებელია კათედრის თავჯდომარე და სასწავლო ნაწილის გამგე, თუმცა ეს დოკუმენტურად არსად ასახული არ არის. ახალი თანამშრომლის კათედრის მუშაობაში ჩაბმა კათედრის ხელმძღვანელის პრეროგატივაა და სასკოლო პროცესში ჩართვა და მისი მუშაობის მონიტორინგი სასწავლო ნაწილს ევალება. **ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რჩევა თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან უკეთ ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად გაწერონ პროცედურები.**

შეესაბამება

5. სკოლის პერსონალის მართვის წამახალისებელი სპეციალურად გაწერილი დოკუმენტი ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. წახალისება, ძირითადად, ხდება კათედრებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მადლობის გამოცხადებით, მაგრამ ადმინისტრაციასთან და პედაგოგიურ კოლექტივთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლა მხარს უჭერს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს (სასკოლო კლუბების შექმნას, კონფერენციების მოწყობა და

მონაწილეობის მიღება). სკოლა მასწავლებლებს ამარაგებს რესურსებით, ხელს უწყობს კლუბების მუშაობის ორგანიზებას. ასევე ახალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს შიდა სასკოლო კონფერენციის მოწყობას, სადაც მასწავლებლები წარადგენენ მათ საუკეთესო კომპლექსურ დავალებებს და გაუზიარებენ გამოცდილებას კოლეგებს, გამოფენენ საუკეთესო პროდუქტებს საგაკვეთილო პრაქტიკიდან. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. მაგალითად ტრენინგის გასვლის მსურველი პერსონალი, ხელშეწყობილია სკოლის ადმინსტრაციის მხრიდან.

შეესაბამება

დასტურდება:

- **სერთიფიკატები;**
- **გაკვეთილის გეგმა/რეფლექსია;**
- **სამუშაო შეხვედრების ამსახველი დოკუმეტი;**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;**
- **N7 დანართი- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის პეროდში **წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი,** რაც საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობას განაპირობებს. აღნიშნულ დოკუმენტში (მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფა) აღწერილია თუ რას გულისხმობს სკოლა ხარისხის უზუნველყოფაში:

- ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას.
- ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა.
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.

  სკოლის **სპეციალური მუშა ჯგუფი** მუშაობს მისია, ხედვა და ღირებულებების განახლება-შემუშავებაზე. აღნიშნული ჯგუფი

ჩაატარებს გამოკითხვებს არსებულ დოკუმენტთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოებაში კითხვარების გამოყენებით. გააანალიზებს მიღებულ შედეგებს და შესაბამისად მოხდება დოკუმენტის მოდიფიცირება.

შეესაბამება

2. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით (ადმინისტრაცია, არჩეული სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და კათედრები), ძირითად (დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები), ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის მიერ შედგენილ სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანაგანაწესში. ასევე შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელთა იდენტიფიცირება და აღწერა სკოლის მიერ ხდება სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში. ადმინისტრაცია გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, თუ რამდენად იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და მასში გაწერილ უფლება- მოვალეობებს. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე პროცესია ყველა ის პროექტი, რომელიც კათედრებზე ხორციელდება.

შეესაბამება

3. სკოლას გააჩნია გასაჩივრების მექანიზმები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ საშუალება გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. სკოლაში ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში, დაზარალებული მიმართვას დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობით მშობლის, მასწავლებლისა და მოსწავლისაგან. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები გამჭვირვალეა, გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. დამრიგებლები წლის დასაწყისში აცნობენ შინაგანაწესს მშობლებს, მოსწავლეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. სკოლა აპირებთ მომავალ სასწავლო წელს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საფუძველზე დახვეწოს ეს დოკუმენტაცია.

შეესაბამება

4. სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მასწავლებლების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, რომელსაც კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს. მშობლები

და მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს შინაგანაწესთან დაკავშირებით. მომავალი სასწავლო წლისთვის ადმისტრაცია გეგმავს გავითვალისწინოს მათი სურვილები, წინადადებები დოკუმენტის შექმნისას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

შეესაბამება

დასტურდება:

- **დისციპლინური კომიტეტის ოქმი N1;**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმი N2;**
- **პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1;**
- **შინაგანაწესი ;**
- **N 2-15 ავტორიზაციის მიზნით მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის დამტკიცების შესახებ;**
- **მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება.**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებობს ეფექტური მექანიზმები მოსაზრებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. **სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)**, სადაც გაწერილია:

- მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი,
- მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია,
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები,
- საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.

მართვის პროცესებთან დაკავშირებული სიახლეები სასკოლო საზოგადოებას ეცნობება სოციალური ქსელის დახმარებით, სადაც თითოეულ პერსონალს აქვს საშუალება უკუკავშირის. სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომელშიც მონაწილეობს მშობლებიც, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდებათ სოციალური ქსელის, საინფორმაციო დაფისა, კათედრების ხელმძღვანელებისა და დამრიგებლების მიერ. **ვიზიტის პერიოდში სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიაწოდა შექმნილი ვებ გვერდი, სკოლამ იმავე დღეს განათავსა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია**.

შეესაბამება

2. სკოლის დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს მონაწილეობის შესაძლებლობა. სასკოლო საზოგადოების წევრები გაერთიანებულნი არიან სამურვეო საბჭოში, რომელიც შედგება სამივე საფეხურის მშობლის, სამი მასწავლებლის და მოსწავლისაგან. თითოეულ მათგანს აქვს აზრის გამოთქმის საშუალება. მასწავლებლებს თავიანთი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება აქვთ პედსაბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ყოველ წელს ირჩევა, გაწერილი აქვს დებულება და ქცევის წესები. ისინი აქტიურად ახორციელებენ თავიანთ იდეებს და სკოლა მათ ხელს უწყობს მათი იდეების განხორციელებაში. სკოლა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა და მშობელთა ინიციატივის განხორციელებას, რათა თითოეულ სასკოლო საზოგადოების წევრს ჰქონდეს სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. მათი აზრის დაფიქსირება მოხდება სამეურვეო საბჭოზე, პედსაბჭოს შეხვედრებზე.

შეესაბამება

დასტურდება:

- **სამეურვეო საბჭოს ოქმები,**
- **პედსაბჭოს ოქმები,**
- **თვითმართველობის ოქმები,**
- **დამრიგებლის ოქმები,**
- **სკოლის ფეიბუქ გვერდის ლინკი**
- **[სკოლის ვებ გვერდი](#).**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლას აქვს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ არის შეთანხმებული **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც შეთანხებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.** სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლას უზრუნველყოფილი აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი, დარაჯი, ჯანმრთელობაზე ზრუნავს ექიმი, რომელითანაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებულია ხელშეკრულება, სამედიცინო კაბინეტი არის მინისტრის N41/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში. სკოლა ჰყავს სპეც მასწავლებელი, ასისტენტი, შედგენილია ინკლუზიური განათლების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს ვიდეო. სათვალთვალო კამერით, ჰყავს მრჩეველთა საბჭო, სრულყოფილია სკოლაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობა, დღეების და სართულების მიხედვით. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში, დამრიგებელი მყისიერად რეაგირებს გაცდენაზე, უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს/აწვდის ინფორმაციას მშობელს. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ბრძანებით ჰყავს განსაზღრული უსაბრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე). ვინაიდან სკოლის დირექტორს ან დირექტორის მოადგილეს გაუჭირდება ძირითად ფუნქციებთან სკოლაში უსაფრთხოების საკითხების შეთავსება, **სასურველია აღნიშნული პოზიცია შეითავსოს სკოლის სხვა თანამშრომელმა.**
სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა, რომ 30.06.2024 მდე დაამტკიცებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას რომელიც შეთანხებული იქნება შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. **30.06.2024 მდე წარმოადგენს** შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). **30.06.2024 მდე წარმოადგენს** დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ***სკოლას მიეცა რჩევა,*** რათა გაფორმდეს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

შეესაბამება

1. სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით მინიმუმამდე დაჰყავს უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება, აკრძალული ნივთებით მოსწავლეთა გადაადგილება. სკოლაში ფუნქციონირებს უცხო პირთა შემოსვლა- გასვლის ჟურნალი, სადაც ფიქსირდება სკოლაში შემომსველელი უცხო პირი. სკოლის ტერიტორიაზე გამოვლენილი თითოეული დარღვევაზე ხდება შესაბამისი რეაგირება, ამიტომაც, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სართულებზე და ეზოში მორიგეობენ მასწავლებლები მათთვის განრიგით შედგენილ დღეებში, სკოლას ასევე ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

შეესაბამება

2. პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერა. კლასის დამრიგებლები ატარებენ სადამრიგებლო საათს მოსწავლეებისთვის აქტუალურ პრობლემებზე. მაგალითად, ჩატარდა კლასის საათი ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვითი კულტურის განვითარებაზე, მავნე ჩვევების აღკვეთაზე, ბულინგთან დაკავშირებით, სადაც მოსწავლეებს გააცნეს ბულინგის სახეები, მოისმინეს მათი მოსაზრებები ამ თემასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით ჩავატარებთ საუბრებს სხვადასხვა თემაზე. სკოლამ საჭიროებიდან გამომდინარე მოიწვია ფსიქოლოგი. ასევე აქვთ პრაქტიკა კინოფილმის ჩვენებისა და დისკუსიის.

შეესაბამება

3. სკოლა ზრუნავს უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის არის აუცილებელი. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას, სკოლას გააჩნია სველი წერტილები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი საშუალებებით, დერეფნებში განთავსებულია სადეზინფექციო სიტემა. სკოლა პერიოდულად იძენს სანიტ-ჰიგიენურ ინვენტარებს, ყავს ორი დამლაგებელი, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. კლასების დონეზე მორიგე მოსწავლე ვალდებულებას იღებს საკლასო ოთახის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.

შეესაბამება

4. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, პერსონალის პერსონალური ინფორმაციას. ინფრომაცია თითოეულ მათგანზე გაიცემა კონკრეტული პირის ზეპირი ან წერილობითი ნებართვით. მათი მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად და ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტული პიროვნების ნებართვით. სკოლაში მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის გასაჯაროება ხდება მხოლოდ მშობლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, რომელსაც სკოლა უგზავნის მშობელს საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც სკოლა წარადგენს სხვადასხვა პროექტის მასალებს, სადაც განთავსებულია მოსწავლეთა ფოტოები, წინასწარ მშობლები ხელს აწერენ თანხმობის ფურცელს. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. სკოლას ჰყავს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

შეესაბამება

5. სკოლაში დანერგილია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას. **სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, ასევე წარმოდგენილ იქნა სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ურუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.**

შეესაბამება

6. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. გამოყენებული იქნება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები და სხვა. მიღებული შედეგების ანალიზიდან გამომდინარე მოხდება მყისიერი რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს. **სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის წესი.**

შეესაბამება

დასტურდება:

- **N1-04 ბრძანება - უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშნვაზე;**
- **N1-56 ბრძანება - პერსონალური ინფორმაციის დაცვა-გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშნვაზე;**
- **დარაჯის შრომითი ხელსეკრულება;**
- **მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს სოფელ ახუთში. ახალი სკოლა აშენდა 2011 წელს, რომელიც გათვლილია 240 მოსწავლეზე, ჰყავს 142 მოსწავლე. საკადასტრო კოდი N03.06.25.405, მიწის ფართობია 15636.00 კვ. მ, აქედან შენობის ფართობია 956.36 კვ. მ. (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, **მაგრამ არ აქვს გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი.**

შესაბამება

2. სასკოლო გარემოს სწორი მოწყობა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო აკადემიურ სივრცეს. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის სივრცეები: სკოლის ეზო შემოსაზღვრულია. სპორტ დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი- ეს ყველა საერთო სარგებლობისაა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლის რესურს ოთახი, ადაპტირებული საპირფარეშო განთავსებულია პირველ სართულზე. მოსწავლეებისათვის სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია.

შეესაბამება

3. სკოლას გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები, გარე პანდუსები, სასკოლო საპირფარეშო კეთილმოწყობილია სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის, სპორტული დარბაზი, რომლებიც განთავსებულია პირველ სართულზე. ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები სპეციალურ მასწავლებელთან ერთად. სკოლაში ფუნქციონირებს ისგ ჯგუფი, რომელიც მუშაობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე, რათა სსსმ მოსწავლეებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების ფარგლებში მიიღონ შესაბამისი მომსახურეობა. სსსმ მოსწავლეს ჰყავს ასისტენტი.
მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა ადაპტირებული საპირფარეშო, გარეთა პანდუსი, რესურს ოთახი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი, სკოლა სრულად ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს, რადგან, ეტლითმოსარგებლე

ვერ შეძლებს მეორე სართულზე არსებულ სივრცეებში (კომპიტერული და საბუნებიმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა) დამოუკიდებლად შეღწევას და სარგებლობას. ***შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა 30.06.2024 მდე გამოასწორებს აღნიშნულ ხარვეზს.***

შეესაბამება

4. სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული დარბაზითა, სამკითხველო სივრცით. მაგრამ სკოლას არ გააჩნია სააქტო დარბაზი, რაც რიგ შეფერხებებს იწვევს სასკოლო ცხოვრებაში. სააქტო დარბაზი მნიშვნელოვანია სხვადასხვა სასწავლო თუ სოციალური პროექტების, კულტურულ-შემეცნებითი აქტივობებისთვის. სასკოლო ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას; უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად ახლდება. სკოლამ ამ ეტაპზე შეიძინა წიგნები, სასწავლო პლაკატ-პოსტერები, რუკები.

შეესაბამება

5. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად აქვს სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, რომელიც განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობით წესი, რომელიც გაცნობილია მოსწავლეებისათვის დამრიგებლების მიერ. სკოლას ასევე გააჩნია კურიკულუმით გათვალისწინებული საჭირო რესურსები, (კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, ინტერნეტით უზრუნველყოფა, სპორტული მოედანი, პროექტორი, პროექტორის დაფა და სხვა სასწავლო რესურსი) თუმცა ისინი ზოგჯერ ვერ აკმაყოფილებენ საჭიროებას, სააქტო დარბაზის უქონლობა მთელ რიგ პრობლემებს წარმოშობს.

შეესაბამება

დასტურდება:

- **ბიბლიოთეკის დებულება;**
- **ამონაწერი საჯარო წეესტრიდან;**
- **N 2-75 ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება;**
- **უსაფრთხოება და ინფრასტრუქტურის ფოტომასალა;**

- **მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია 31 კომპიუტერი, სამი პროექტორი, კომპიუტერული და Stem- ლაბორატორია, რომელთაც ჰყავთ პასუხისმგებელი პირი. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს როგორც ადმინისტრაციული ასევე, სასწავლო პროცესის ადეკვატურად წარმართვას. მთელს შენობაში გამართული აქვთ WiFi სიტემა, თუმცა საკლასო ოთახები არ არის აღჭურვილი კომპიუტერებით, საჭიროების შემთხვევაში იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას. საგაკვეთილო პროცესში ინტენსიურად გამოიყენება სხვადასხვა ციფრული რესურსი თუ ინსტრუმენტი, მასწავლებლები ხშირად იყენებენ scratch-პროგარმას, მაინკრაფტს, kahoot პროგრამას პროექტის ფარგლებში, რაც მოსწავლეთა ციფრული წიგნიერების ამაღლებას ემსახურება.

შეესაბამება

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, ლაბორატორიას ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც აღრიცხავს საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიიდან გატანილი კომპიუტერების რაოდენობას და შემდგომ იბარებს მას. მასწავლებელები გაკვეთილებს ატარებენ კომპიუტერულ ლაბორატორიაში საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს აქვთ ბუკები, რითაც საკლასო ოთახებში სარგებლობენ. მაგ: კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით შეიქმნა რესურსი ქართულში, ვაჟა- ფშაველას მინიატურაზე ,,მუხა", ამბის თხრობა scratch-პროგარმის გამოყენებით; საგანი- ბუნებისმეტყველება- თემა: მცენარეული საკვები- ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა scratch-პროგარმის გამოყენებით; საგანი: ჩვენი საქართველო-,,3D ვულკანი ''.,,MakersEmpire3D". **სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელიც შაბლონურია და საჭიროებს სკოლაზე მორგებას.**
შეესაბამება

დასტურდება:

- **საინფორმაციო მენეჯერის ხელშეკრულება;**
- **კომპიუტერების მიღება-ჩაბარება;**
- **დირექტორის ანგარიში;**
- **Wi-Fi-ის აპარატების მიღება-ჩაბარება.**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის როგორც შიდა ასევე გარე დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის eflow საშუალებით. მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესები. ამ პროცედურისთვის სკოლას აქვს საქმისწარმოების დამტკიცებული წესი; ასევე აქვთ: საერთო ბრძანების, შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. წესის მიხედვით ზოგიერთი დოკუმენტი სავალდებულო ვადის შემდეგ გადაიგზავნება ცენტრალურ არქივში.

შეესაბამება

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის (eflow, eschool, mes.gov.ge). დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 , Teams.

შეესაბამება

3. სკოლა სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eschool),სადაც განთავსებულია ინფორმაცია როგორც მოსწავლეებზე და მშობლებზე, ასევე მასწავლებლებზე და სკოლის პერსონალზე. კლასის დამრიგებლებს აქვთ წვდომა, თავისი პირადი პროფესიული პორტფელიოსთან და ასევე სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების პირად ინფორმაციასთან და ვალდებული არიან საჭიროებისამებრ შეიტანონ ცვლილებები მათ პირად მონაცემებში.

შეესაბამება

4. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად არსებობს ანგარიშგების განსაზღვრული პროცედურები, რომელსაც სკოლა ითვალისწინებს, სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს (მაგ. დირექტორის მიერ 10 დეკემბრამდე წარსადგენი ანგარიში) და სხვადასხვა სახის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს.

შეესაბამება

დასტურდება :

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- Eflow;
- eSchool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ვიზიტის პერიოდში ჩაერთო ვებგვერდი, ვიზიტის პერიოდშივე მოხდა ინფორმაციის განთავსება. ასევე სკოლას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი, სადაც ზიარდება ყველა საჭირო და ახალი ინფორმაცია, აქვეა განთავსებული ინფორმაცია ჩატარებულ ღონისძიებებზე. იტვირთება ფოტო და ვიდეო მასალა, ყველა ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის ასევე მშობლებისათვის. გარკვეული ინფორმაციები თვასდება სკილის One Draiv, სკოლის ფეისბუქ გვერდს ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სიახლის გაზიარებას სოციალურ ქსელში. სკოლა ასევე იყენებს მესენჯერ ჯგუფებს, თიმსის ჯგუფებს, სადაც კლასის დამრიგებლები განათავსებენ სხვადასხვა სიახლეს. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებსა თუ სხვადასხვა სიახლეებს.

შეესაბამება

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას ფეიბუქგვერდის დახმარებით, ასევე იყენებს თიმს პლატფორმის ჯგუფებს, ასევე, საკომუნიკაციოდ გამოიყენება დამრიგებლების მიერ შექმნილ შიდა ჯგუფები (ფეისბუქჯგუფები, სატელეფონო კომუნიკაცია), ღონისძიებების ჩატარების შესახებ ინფორმაციას გააკრავენ აფიშის სახით თემის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას. ვზიტის პერიოდში სკოლას ჩაერთო ვებ გვერდი სადაც სკოლამ დაიწყო სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსება.

შეესაბამება

3. სკოლა ცდილობს სხვადასხვა არხებით მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას და საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებას, მაგალითად, როდესაც სკოლა იღებს ინფორმაციას სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ პროგრამების შესახებ, ის აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას მასწავლებლებს ელექტრონული და ზეპირი სახით. სკოლა საკომუნიკაციო არხებიდან იყენებს ოფიციალური სოციალურ ქსელის გვერდს, ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში გამოიყენება მიღებული სკოლის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. სკოლა სხვადასხვა პროექტებისა თუ აქტივობის შეფასებისათვის ხშირად იყენებს მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვის.

შეესაბამება

4. სკოლას ვიზიტის პერიოდში ჩაერთო ვებგვერდი, ვიზიტის პერიოდშივე მოხდა ნაწილი ინფორმაციის განთავსება. ასევე იყენებს სოციალური ქსელის ფეისბუქის (Facebook) სივრცეს. სოციალური ქსელის არხი ღია, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

შეესაბამება

5. სკოლას ვიზიტის პერიოდში ჩაერთო ვებ გვერდი, ვიზიტის პერიოდშივე მოხდა ნაწილი ინფორმაციის განთავსება, კონკრეტულად სკოლამ განათავსა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტი, სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი და 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პროექტი. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სკოლის ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება. ***ასევე 29.12.2023 - მდე სკოლამ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცის განთავსება ვებგვერდზე.***

შეესაბამება

დასტურდება:

საინფორმაციო დაფა;
ვებ გვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, ამჟამად ჰყავს 141 მოსწავლე და გათვლილი ვაუჩერული დაფინანსებით, რომლის ბიუჯეტი არის განსაზღვრული კონკეტული თანხა, რომლის 90%-ზე მეტი ხმარდება სახელფასო ფონდს, დანარჩენი კომუნალურ ხარჯებს. მინიმალურად ფინანსდება სკოლის რესურსებისა და ინფრასტრუქტურული ხარჯებისთვის. სკოლის ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე ხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. **სკოლამ ვერ წარმოადგინა საპროგნოზო ბიუჯეტი,** ფინანსურ საქმიანობას აწარმოებს ფაქტობრივი ბიუჯეტით, სადაც მუხლობრივად არის გაწერილი როგორც შემოსავალი ასევე ხარჯი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შვიწლიანი სტრატეგული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტები, აქედან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებით ერთწლიანი სამოქედო გემა, რომელიც უნდა გამოდინარეობდეს შვიწლიანი სტრატეგული გემიდან აუცლებლად უნდა ახლდეს **საპროგნოზო ბიუჯეტი.**
სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა საპროგნოზო ბიუჯეტი.
შეესაბამება

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში. სკოლის ფინანსური რესურსი აისახება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ შეთანხმებული ბიუჯეტზე და წლიურ შესყიდვების გეგმებში. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ინდ. აქტით შედის ცვლილებები. ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, სადაც გაწერილია სკოლის ფინანსური მართვის პოლიტიკა.

შეესაბამება.

დასტურდება:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ბიუჯეტი 2023;**
- **შესყიდვების გეგმა;**
- **ბრძანებები;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოქმედებს საქართველოს კანონით "ზოგადი განათლების შესახებ", სადაც განსაზღვრულია მოსწავლის ძირითადი უფლებები. ამ უფლებების რეალიზებას ემსახურება სკოლა, მეორე მხრივ თვითონ მოსწავლე და მშობლი/კანონიერი წარმომადგენლი. შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლეების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა. მასში გაწერილია მოსწავლეთა წახალისების ფორმები, მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა მოსაზრებებს. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა, ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. სკოლაში ყველა მოსწავლის უფლებები დაცულია, მას არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. გვყავს სსსმ მოსწავლეები, რომელთა უფლებებიც დაცულია. უზრუნველყოფილია შესაბამისი პერსონალით, ჰყავთ სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტი, რომელიც ეხმარება მათ სასწავლო მიზნების მიღწევასა და სასწავლო გარემოსთან ადაპტირებაში.

შეესაბამება

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები გამჭვირვალეა, სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ შინაგანაწესს მშობლებს და მოსწავლეებს, ახალი სასწავლო წლიდან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შინაგანაწესის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, მოაწყობს მშობელთა კრებებს, ღია შეხვედრებს, გამოკითხვებს, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ინტერესი. სკოლას ვიზიტის პერიოდში ჩაერთო ვებგვერდი, სადაც ახალ სასწავლო წელს განათავსებენ კანონმდებლობით მონთხოვნილ განახლებულ დოკუმენტაციას,

რათა ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა უფრო გაიზარდოს. კლასის დამრიგებლებიც სასწავლო წლის დასაწყისში მოაწყობს შეხვედრას, სადაც გააცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს ახალ სკოლის შინაგანაწესს, ასევე ელექტრონულად გააზიარებს სოციალურ ქსელებში შექმნილ დახურულ ჯგუფებში. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც წარმოდგენილია მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები თანაბარი რაოდენობით. მათი არჩევა ხდება ყოველწლიურად. დისციპლინური კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობებს კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს. დისციპლინარული გადაცდომები გაწერილია შინაგანაწესში. მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას გასაჩივრების წესის შესახებ.

შეესაბამება

3. სკოლა მოსწავლესთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან ყოველ ახალ სასწავლო წელს, პირველ კლასში შემოსვლის დროს, აფორმებს ხელშეკრულება, რომელიც ინახება სკოლაში და არის გამჭვირვალე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ახალი სასწავლო წლიდან განაახლებს ხელშეკრულებებს და ის დაფუძნებული იქნება სკოლის მისია მიზნებზე და კურიკულუმზე, შევიმუშავებთ ასევე ხელშეკრულების გაცნობის მექანიზმებს.

შეესაბამება

დასტურდება:

- **შინაგანაწესი;**
- **თვითმმართველობის ოქმები და დებულებები;**
- **დისციპლინური კომიტეტის ოქმი;**
- **მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.**
- ვებ გვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, სადაც განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები: მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მშობლის განცხადების საფუძველზე, დირექტორის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტის საფუძველზე. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძენებით რეგისტრაციის გამოცხადების შემდეგ ახდენს პირველ ეტაპზე სსსმ მოსწავლეების, მეორე ეტაპზე იმ ბავშვების, რომელთა და-ძმა ამავე სკოლის მოსწავლეა, მესამე ეტაპზე საყოველთაო რეგისტრაციის, მეოთხე ეტაპზე კი იმ ბავშვების, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხა რეგისტრაცია, ჩარიცხვას. საფეხურის დაძლევის შემთხვევში იწერება საფეხურის დაძლევის ბრძანება და პედაგოგიური საბჭოს ოქმი. მოსწავლეთა გაცდენების შემთხვევაში ჯერ ათი და შემდეგ ოცი დღის ვადაში დამრიგებელი, ახდენს მშობლის ინფორმირებას შესაძლო რეაგირების შესახებ. დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც თავის მხრივ აცნობებს სოციალურ მუშაკს. ხოლო 45 დღის ვადაში მოსწავლეს უჩერდება სტატუსი.

შეესაბამება

1. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის მინიჭების გამჭირვალე და ვალიდური მექანიზმები. აწარმოებენ ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებას, საფეხურის დაძლევის თუ ჩარიცხვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს მულტდისციპლინური გუნდის დასკვნას, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისას გარკვეულ დოკუმენტაციასთან ერთად წარსადგენი აქვს ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა-100, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს მინიჭებული აქვს სსსმ სტატუსი

სკოლა იქცევა შეფასებაში გაწერილი მითითების თანახმად, ხოლო თუ არის საჭიროება სტატუსის მინიჭების ამ შემთხვევაში მშობელი ავსებს სპეციალურ კითხვარს, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია უგზავნის მულტიდისციპლინურ გუნდს შემდგომი შეფასებისა და რეკომენდაციისთვის.

შეესაბამება

2. სკოლას აქვს სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი: ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ელ. ჟურნალის კომენტარები, მესენჯერ ჯგუფი. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები: წიგნიერების მიმართულებით „საღებო“ „კარცერ-ლუქსი“, სამოქალაქო განათლების მიმართულებით „ თემიდა“, საბუნებისმეტყველი მეცნიერების კლუბი ,, ევრიკა“. კლუბების სამოქმედო გეგმა და დებულება ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლა ასევე აწვდის მშობლებს ინფორმაციას მეორე უცხოური ენის არჩევის შესაძლებლობების შესახებ, მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, ჩაატარეს გამოკითხვა, აირჩიეს ფრანგული ენა, გამოაცხადეს ვაკანსია, თუმცა ვერ მოხერხდა საგნის სწავლება, რადგან არ გამოჩნდა კადრი. არჩევითი საგნის შეთავაზება ხდება მოსწავლეებისთვის, მათი გამოკითხვის შედეგად ირჩევა საგანი.

შეესაბამება

3. სკოლის და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების ასევე რესურსების შესახებ შესაბამისია კანონმდებლობასთან, არის გამჭირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აღნიშნული ინფორმაციები ვრცელდება სკოლის სოციალურ გვერდზე, მესენჯერ ჯგუფებში.

შეესაბამება

დასტურდება:

მოსწავლის პირადი საქმე;

ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებები;

საფეხურის დაძლევის ბრძანებები;

საკლუბო მუშაობის დებულებები/ოქმები;

უცხოენის არჩევის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არის გარკვეული კულტურა მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა. კლასის დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს, მაგ, აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას ახალ შესასწავლ საგანთან და მის მასწავლებელთან დაკავშირებით. იგი აწვდის ინფორმაციას მასწავლებელთა შესახებ, ასევე გამოიკვლევს მოსწავლის მისწრაფებებს, აცნობს მას მასწავლებლებს. მეთორმეტე კლასის დამამთავრებელ ღონისძიებაზე სკოლა იწვევს ბაღის აღსაზრდელებს, მომავალ პირველკლასელებს, მათ აღმზრდელებთან ერთად, აცნობს მომავალ დამრიგებელს, ათვალიერებს სასკოლო გარემოს.
   სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი რომელიც იძებნება სხვადასხვა დოკუმენტებში.
   შეესაბამება

2. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობენ სასწავლო გარემოს, ათვალიერებინებენ ოთახებს. აცნობენ, სად არის ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, კომპიუტერული და stem ლაბორატორია, სველი წერტილები. აცნობს ახალ მასწავლებლებს, ატარებს კლასის საათს და აცნობს განრიგს.
   შეესაბამება

3. სკოლა დამრიგებლის დახმარებით, ახდენს მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ. ინდივიდუალური შეხვედრები, ონლაინ ან პირისპირ, ამისთვის სკოლა სპეციალურად გამოყოფს მშობლებთან შეხვედრის დღეებს, რის შემდეგაც ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე. მშობლებს და მოსწავლეებს აქვთ ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

   შეესაბამება

4. სკოლა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას იყენებს საჭიროების გათვალისწინებით, მაგალითად ატარებს ექსტერნის გამოცდებს მოსწავლეების სურვილის და შესაძლებლობების შემთხვევაში. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც მოსწავლეები მიმართავენ აუცილებლობის შემთხვევაში. პირველკლასელების მიღება/ჩარიცხვის შესახებ, მეთორმეტეკლასელთა

მობილობის შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო, გაზიარებულია როგორც სოციალური ქსელით, ასევე დამრიგებლების მიერ მესენჯერსა და Teams პლატფორმით. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით შესაბამისი წესებით.

შეესაბამება

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი არაფორმალური აქტივობების წახალისებას. სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში და დონორი ორგანიზაციების დახმარებით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. ადმინისტრაციის მხრიდან სასკოლო საზოგადოებას მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინიციატივებს აქვთ მხარდაჭერა. სკოლაში ფუნქციონირებს: მკითველთა კლუბები: ,,კარცერ-ლუქსი", ,,საღებო", სკოლაში ფუნქციონირებს ასევე, ეკოკლუბი- ,,ევრიკა", სკოლაში ხშირად იმართება მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატების თუ ნამუშევრების გამოფენა. ჩატარებული აქტივობები პერიოდულად აისახებოდა სკოლის სოციალურ გვერდზე.

შეესაბამება

6. წინა სასწავლო წლის დაკვირვების შედეგად გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად იგეგმება ახალი სასწავლო წლის სასკოლო პროექტები. მათი მოსაზრებების გასაგებად იყენებენ წინასწარ გამზადებულ კითხვარებს, რომლებსაც ავსებენ მოსწავლეები და მათი ანალიზის საშუალებით სკოლა იგებს მათ მოსაზრებებს და შესაძლებლობების ფარგლებში ითვალისწინებენ და გეგმავენ მომავალ პროექტებს. ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს მოსწავლეთა და საზგადოების გამოკითხვას აქტუალურ თემებზე, გამოიკვეთება პრობლემები, რის საფუძველზეც საგნობრივი კათედრები დაგეგმავენ აქტივობებს. სკოლა ხელს უწყობს საკლუბო მუშაობისა და მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივების წახალისებას.

შეესაბამება

დასტურდება:

- **სკოლის სოციალური გვერდი;**
- **სადამრიგებლო პროგრამა;**

- **შინაგანაწესი.**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც კი სკოლაში შემოდის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებიდან ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესაებ, ეს ინფორმაცია დამრიგებლების მიერ ეცნობება მოსწავლეებს და დაინტერესების შემთხვევაში მოსწავლეები ესწრებიან აღნიშნულ შეხვედრებს. სკოლა ხელს უწყობს მსგავსი ტიპის სიახლეების ხელმისაწვდომობას და ახალისებს მოსწავლეთა ჩართულობას. სკოლას აქვს მემორანდუმი ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტთან. ასევე, კადეტთა კორპუსის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ჩაუტარეს შეხვედრა, სადაც გააცნეს სასწავლებლის დებულება, პირობები.

შეესაბამება

2. სკოლა აწვდის მოსწავლეებს და მათ მშობლებს ყველა იმ სიახლეებს, რაც კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული. მაგ, სკოლის ელფოსტაზე მოსული ინფორმაცია სხვადასხვა ღია კარის დღეებზე სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, შემოთავაზებები სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით კლასის დამრიგებლების დახმარებით მიეწოდება მოსწავლეებს და მათ მშობლებს სოციალურ ქსელებში შექმნილი ჯგუფების, სატელეფონო კომუნიკაციისა და პირადი შეხვედრების დახმარებით.

შეესაბამება

3. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევას და შედეგების გათვალისწინებას მომსახურების ხარისიხის გასაუმჯობესებლად.

სასურველია სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუმენტები/მექანიზმები

შეესაბამება

დასტურდება:

მემორანდუმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არის 7 სსსმ მოსწავლე, ამიტომაც გვაქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფის დამტკიცების ბრძანებები, შეხვედრის ოქმები, მასწავლებლები ახდენენ მოსწავლის

იდენტიფიცირებას, შემდეგ ხდება მშობელისთვის ინფორმაციის მიწოდება, მშობლის თანხმობის შემთხვევაში ივსება სპეციალური ფორმა. პირველი კლასელის შემთხვევაში მოსწავლის იდენტიფიცირება ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე, შესაბამისი კლასის მასწავლებლები წერენ პირველადი მართვის გეგმას, რომელიც მუშაობს ერთიდან ორ თვემდე. შემდეგ გეგმის შედეგებს აგზავნიან მულტდისციპლინარულ გუნდში, გუნდი აფასებს და მოდის შესაბამისი დასკვნა, ბრძნებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც მუშაობს მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე, რომლის განხილვასაც ესწრება მშობელი და კლასის ყველა მასწავლებელი, დამრიგებელთან და სპეციალურ მასწავლებელთან ერთად. სკოლაში ინახება შესაბამისი შეხვედრის ოქმები. დაცულია მოსწავლის კონფიდენციალური ინფორმაცია. ინფორმაციასთან წვდომა აქვს იმ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლის ამ მოსწავლეებს. ინდივიდუალური გეგმები ინახება საგნის მასწავლებლებთან და სპეციალურ მასწავლებელთან, ასევე სპეცმასწავლებელთან ინახება შეხვედრის ოქმები. სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურ შეხვედრებზე აწვდის ინფორმაციას მშობელს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით. შეხვედრა ხდება მშობელთან შეთანხმებით. **სპეციალურ მასწავლებლს შექმნილი აქვს სამოქმედო გეგმა**. გეგმაში გაწერილია: აქტივობები, ატივობების შინაარსი, პასუხიმგებელი პირი და შესრლების ვადები, ასევე სკოლას ბრძანებით შექმნილი ყავს ინკლუზიური განათლების შედა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ევალება პროცესების მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი.

შეესაბამება

2. სასკოლო საზოგადოება ზრუნავს სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებში ჩასართავად. მშობლის, სპეცმასწავლებლისა და საგნის მასწავლებელთა კოორდინირებული თანამშრომლობით მოსწავლეები აღწევენ დასახულ მიზანს და ხდება მათი ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, სხვადასხვა ღონისძიებებში და აქტივობებში. სპეციალური მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება საგნის მასწავლებლებს მშობლებს გამოიყენონ კომუნიკაციის დამხამარე და ალტერნატიული ტექნოლოგიები იმ მოსწავლეებთან ურთიერთოებისას, რომელთაც კომუნიკაციის სირთულეები აქვთ. სპეცმასწავლებელი, მასწავლებლები და მშობელი ეხმარება ერთმანეთს უკეთესი შედეგის მისაღწევად.

შეესაბამება

- **სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;**
- **სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა;**
- **ბრძანება 2-27.**

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ჩამოთვლილი მომსახურებიდან აქვს მხოლოდ ტრანსპორტირების სერვისი, დაფინანსებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. სკოლა ჩართულია მონიტორინგის პროცესში და აწარმოებს ტაბელებს.

   შეესაბამება

2. სკოლას მსგავსი მომსახურება არ გააჩნია.

   შეესაბამება

3. სკოლას მსგავსი მომსახურება არ გააჩნია

   შეესაბამება

დასტურდება:

ტაბელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.2 **კურიკულუმის განხორციელება**	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. აგრეთვე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედურ მიზნებს შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი თემატური ერთეული, თემის შესაბამისი საინტერესო კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავებისას აანალიზებენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასაც, რასაც მოწმობს „მშობლის ბარათები“, რომლებიც დანერგილია სკოლაში. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები, დაკვირვებები და მიგნებები საშუალებას იძლევა, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე იყოს ორიენტირებული.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსა და ინტერვიუებში ჩანს, თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა, პროცესში ჩართულია ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების გამოყენება შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურად ერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც, კერძოდ, მასწავლებლებს მათთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების განსაზღვრაში, რასაც შემდგომ ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, რესურსებისა და აქტივობების სახით.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგების ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობა, მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდებათ უკუკავშირის მიღების მიზნით. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლემბა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ სხვადასხვა ინსტრუმენტებით მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და ჩართულობა კურიკულუმების შემუშავებაში. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კათედრების და დირექციის წარმომადგენლები შეთანხმებულად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რომელშიც უკეთესად იქნება ასახული საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებული ვარიანტი აუცილებლად გამოიკვრება სტენდზე, სამომავლოდ აიტვირთება სკოლის ვებგვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იქნება, ასევე, მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ მოხდება მშობელთა ინფორმირება. სადამრიგებლო

საათზე მოსწავლეებსაც გააცნობენ კურიკულუმის ძირითადი ნაწილების შესახებ ინფორმაციას. შედეგად სასკოლო თემის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ მიკუთვნებულობისა და საჯაროობის განცდა. მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი გაიწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, რომელიც ამჟამად ზოგადია, გაწერილია პრინციპები, თუმცა არაა დაკონკრეტებული/ჩაშლილი ის ნაბიჯები და აქტივობები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ჩართულობისა და თანამონაწილეობის პრინციპების რეალიზება.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- უცხოური ენების კათედრის სხდომების ოქმები
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა 2022-2023
- საგნობრივი კურიკულუმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. აღინიშნა, რომ უპირატესობას ცხოვრებისეულ კონტექსტზე აგებულ კომპლექსურ დავალებებს ანიჭებენ, რადგან მოსწავლე ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს.

ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ შეივსება, კერძოდ, *ბუნებისმეტყველების მიმართულებით* ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და ყველა სამიზნე ცნება დამუშავდება, დაიხვეწება და შეივსება რესურსები; *მათემატიკის მიმართულებით* - დაიხვეწება და შესწორდება კურიკულუმები, ასევე, სრულად დაწერენ I და II კლასის კურიკულუმებს; *ტექნოლოგიების მიმართულებით* - დამუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მიეთითება ცნებების დასახელებები, გასწორდება კურიკულუმის ჩარჩოს სვეტების შინაარსი, რესურსები დაემატება და ხარვეზიანი ბმულები გასწორდება.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. მაგალითად, I კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეები -„პერსონაჟის ქცევის შეცლა ნახატის საშუალებით“ (მოთხრობა ,,ჟირაფი ჟუჟუს “მიხედვით), ,,ჩემი ილუსტრირებული ანბანი“ (ილუსტრირებული ანბანის გვერდის შექმნა ჟ ასოზე - საანბანო პერიოდის პროექტი), ,,ამბის შეთხზვა“ - ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს კორელაცია გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და დანერგვას (დაგეგმვა, შეფასება) შორის.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით და ინტერვიუირების დროს გაირკვევა, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. სკოლის სასწავლო გეგმაში ჩანს საკითხის პრიორიტეტულობა და ისიც, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას. სასკოლო სასწავლო გეგმის 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლებში დეტალურადაა გაწერილი აღნიშნული პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, დანართების სახითაა წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. სკოლა იცნობს მრავალფეროვან შეფასების ტიპებს და აქვს მზაობა შემდგომში იმუშაოს ამ მიმართულებით. ინტერვიუს

შედეგად ასევე დადგინდა, რომ მასწავლებლები, დაწყებით საფეხურზე, აფასებენ მოსწავლეებს ზეპირი კომენტარით, ხოლო სემესტრის ბოლოს ხდება განმავითარებელი შეფასება წერილობითი კომენტარის ფორმით. მე-5 (მეორე სემესტრიდან) და მე-6 კლასში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. სამომავლოდ მნიშვნელოვანია კათედრების მიერ წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკები დაზუსტდეს კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რის მზაობაც აქვთ მასწავლებლებს.
შეესაბამება

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებისა და პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს მუშაობის გაუმჯობესებას. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარება და მიღებული შედეგების ასახვა საგნობრივ კურიკულუმებში.
შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებით უხდება. მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებით, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით

დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, საკლასო პროექტები, ფესტივალები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას (მაგალითად, ეპიზოდის დახატვა „პატარა დინოზავრ დინდგინელას“ მიხედვით). დოკუმენტაციის გარდა, გასაუბრებისას ამ პროცესის მტკიცებულებად პედაგოგებმა წარმოადგინეს მატერიალურად შექმნილი სხვადასხვა რესურსი და ფოტომასალა.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

შესწავლილი დოკუმენტაციით, პედაგოგების ინტერვიუირებითა და შეფასების ზოგადი რუბრიკების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები შეძლებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებასა და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, შეუძლიათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმებით

განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი მიმდინარე წლის კურიკულუმის ნიმუშების, კომპლექსური დავალებების, მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტისა და სასწავლო პროექტების მიხედვით მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, რაც ასევე გამოიკვეთა პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, პროექტული ტიპის აქტივობებით, ინტეგრირებული გაკვეთილებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ყოველივე გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები პროექტის ფარგლებში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება-გააზრებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პედაგოგებმა დეტალურად ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების და მისი შედეგების შესახებ, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ მატერიალური და ელექტრონული სახით შექმნილი რამდენიმე პროდუქტი.

სასწავლო წლის დაწყებამდე, რეკომენდაციის შესაბამისად, *სახელმწიფო ენის* V – VI კლასების კურიკულუმებში სავალდებულო თემების გათვალისწინებით ასახავენ სამიზნე ცნებებსა და საკითხებს, *მათემატიკის* მიმართულებით დააზუსტებენ ზოგიერთი სამიზნე ცნების ქვეცნებას, მეხუთე-მეექვსე კლასების კურიკულუმში ჩაწერენ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, *ტექნოლოგიების* მიმართულებით თითოეული კომპლექსური დავალების პირობაში ჩააშენებენ ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შემუშავებულ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს, რაც განაპირობებს შუალედური მიზნების გრძელვადიან მიზნებთან

დაკავშირებას. შესაბამისად, ნაცნობი კონტექსტის კომპლექსური დავალებით დამუშავების შედეგად მოსწავლე შეძლებს შინაარსების სიღრმისეულ გააზრებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამას მოწმობს განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა, რომლის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალები განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. მაგალითად, მე-6 კლასის მიერ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი შემეცნებითი ხასიათის კონკურსი (რომელშიც ინტეგრირებულია სამი საგანი: ქართული, ხელოვნება და მუსიკა) ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას სხვადასხვა მიმართულებით და მოტივაციის ამაღლებას. ასევე, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

სკოლის თვითშეფასების კითხვარი, სასკოლო სასწავლო გეგმა და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილი. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩადებულია მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებული რუბრიკები, რომლებიც ზოგადია და მიემართება სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს: პრეზენტაციას, რეფერატს, დისკუსიას, ზეპირ მოხსენებას, კვლევით პროექტს და ა.შ. წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას, თუმცა არაა გამოყოფილი საფეხურების მიხედვით და არაა მისადაგებული კონკრეტულ თემებს. რეკომენდაციის შესაბამისად, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაკონკრეტდება თემების ფარგლებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სასწავლო პროცესში ტესტებითა და რუბრიკებით განხორციელებული შეფასება არის ვალიდური, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის შეფასებაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის პედაგოგები შეიმუშავებენ შეფასების ერთიან რუბრიკებს, რომლის შესახებაც ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს და მათ მშობლებს. კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ შექმნან და დახვეწონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური ტესტის შეფასების ამსახველი დოკუმენტი. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენასა და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის შეფასება და დასკვნების და მიგნებების სამომავლოდ გათვალისწინება. *სკოლა მუშაობს, რომ დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.* ***სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი***

შეესაბამება

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც დაადასტურა მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილმა ნიმუშებმა ზოგი საგნის მიმართულებით და ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებამ. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, სხვადასხვა ცნობები და ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. სამომავლოდ, *ესთეტიკისა და*

ტექნოლოგიების მიმართულებით მასწავლებლები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა
- სკოლის სოციალური გვერდი
- დიაგნოსტიკური ტესტის შეფასების დოკუმენტი
- კათედრის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო
- სასწავლო პროექტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
1. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

კათედრის წევრებთან გასაუბრებასა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც ერთი, ასევე სხვადასხვა კათედრის ფარგლებში. გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. ამის დასტურია ქართულის, მუსიკისა და ხელოვნების მიერ ინტეგრირებული კონკურსის ჩატარება, რომლის ამსახველი ფოტომასალაც სკოლის სოციალურ გვერდზეა განთავსებული. სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, მათ მხარდაჭერას უზრუნველყოფს

შეფასების სისტემა, რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

პედაგოგები ორიენტირებული არიან თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე, წარმატებასა და პროგრესზე, რაც დიფერენცირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის, წინასწარ განსაზღვრავენ მოსწავლის განვითარებაზე მორგებულ სასწავლო რესურსებს, რომელიც ეხმარება მათ სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებებს ასახავენ ჩარჩო კურიკულუმში. ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლა სამომავლოდ კომპლექსური დავალებების დამატებით, ახალი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერებით, კათედრების კიდევ უფრო გააქტიურებით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით, სადიაგნოსტიკო წერებითა და მათი ანალიზით მნიშვნელოვნად განავითარებს მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას, რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „კრიტიკული მეგობარი“.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის

დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში, რიგი ღონისძიებები და აქტივობები წარმოდგენილი სკოლის სოციალურ გვერდზე.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები
- სკოლის სოციალური გვერდი
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- სკოლის მისია, მიზანი და ღირებულებები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შეფასების აღწერითი დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკულუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმებს. ასევე, მითითებულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). აქედან გამომდინარე, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, დგინდება რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესებზე დაკვირვების და კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების ანალიზი ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის

შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების (I-VI კლასები) რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ინფორმაციის მისაღებად ითვალისწინებენ შეფასების სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, სხვა მასწავლებელს, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალს. გამოავლენენ მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს, რომელსაც ითვალისწინებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად. 2023-2024 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება. ასევე, სკოლის თვითშეფასებიდან ჩანს, რომ სკოლა სამომავლოდ ჩაატარებს კვლევას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით: მოახდენს მოსწავლეთა უნარების დიფერენცირებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეებზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი
სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე როგორ უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექციის ჩართულობა. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით განავითარებს კურიკულუმებს.
შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.
შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
საბაზო საფეხურის კურიკულუმი	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.1 **კურიკულუმის შემუშავება**	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 **კურიკულუმის განხორციელება**	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საბაზო კლასების პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. აგრეთვე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედურ მიზნებს შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი თემატური ერთეული, თემის შესაბამისი საინტერესო კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავებისას აანალიზებენ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასაც, რასაც მოწმობს „მშობლის ბარათები“, რომლებიც დანერგილია სკოლაში. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული

აქტივობები, დაკვირვებები და მიგნებები საშუალებას იძლევა, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე იყოს ორიენტირებული.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსა და ინტერვიუებში ჩანს, თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა, პროცესში ჩართულია ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების გამოყენება შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. საბაზო საფეხურზე აქტიურად ერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც, კერძოდ, მასწავლებლებს მათთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების განსაზღვრაში, რასაც შემდგომ ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, რესურსებისა და აქტივობების სახით.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგების ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობა, მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდებათ უკუკავშირის მიღების მიზნით. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ სხვადასხვა ინსტრუმენტებით მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და ჩართულობა კურიკულუმების შემუშავებაში. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კათედრების და დირექციის წარმომადგენლები შეთანხმებულად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რომელშიც უკეთესად იქნება ასახული საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებული ვარიანტი აუცილებლად

გამოიკვრება სტენდზე, სამომავლოდ აიტვირთება სკოლის ვებგვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იქნება, ასევე, მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ მოხდება მშობელთა ინფორმირება. სადამრიგებლო საათზე მოსწავლეებსაც გააცნობენ კურიკულუმის ძირითადი ნაწილების შესახებ ინფორმაციას. შედეგად სასკოლო თემის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ მიკუთვნებულობისა და საჯაროობის განცდა. მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი გაიწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, რომელიც ამჟამად ზოგადია, გაწერილია პრინციპები, თუმცა არაა დაკონკრეტებული/ჩაშლილი ის ნაბიჯები და აქტივობები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ჩართულობისა და თანამონაწილეობის პრინციპების რეალიზება.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- პროექტები ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში
- საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. აღინიშნა, რომ უპირატესობას ცხოვრებისეულ კონტექსტზე აგებულ კომპლექსურ დავალებებს ანიჭებენ, რადგან მოსწავლე ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023 წლის სექტემბრამდე მოხდება კურიკულუმების დახვეწა და ყველა საჭირო შესწორების შეტანა.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საბაზო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გარკვეული გამოცდილება სასწავლო პროექტების განხორციელების და მომავალშიც

გეგმავენ კურიკულუმში მათ ინტეგრირებას. მაგალითად დაასახელეს ქიმიის მასწავლებლის ორგანიზებით განხორციელებული მასშტაბური პროექტი („სოფლის სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი"), რომელიც თავისი მნიშვნელობით გლობალური იყო თემისთვის და მიემართებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს - გლობალური ფუნქციური უნარებს, მაკროცნებებს, სამიზნე ცნებებსა და შედეგებს.

კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქცენტს აკეთებენ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიბებაზე, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ასევე აღნიშნეს, რომ ახლაც მუშაობენ კურიკულუმების დახვეწაზე და 2023 სასწავლო წლის დაწყებამდე, რეკომენდაციის შესაბამისად, ცვლილებებს შეიტანენ მათემატიკის კურიკულუმებში.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით და ინტერვიუირების დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. სკოლის სასწავლო გეგმაში ჩანს საკითხის პრიორიტეტულობა და ისიც, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას. სასკოლო სასწავლო გეგმის 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლებში დეტალურადაა გაწერილი აღნიშნული პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, დანართების სახითაა წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლა იცნობს მრავალფეროვან შეფასების ტიპებს და აქვს მზაობა შემდგომში იმუშაოს ამ მიმართულებით. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მიღწევების შეფასებას. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სამომავლოდ კათედრების მიერ წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკები დაიხვეწება და დაზუსტდება კონკრეტულ თემებთან, საკითხებთან, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებისა და პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს მუშაობის გაუმჯობესებას. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარება და მიღებული შედეგების ასახვა საგნობრივ კურიკულუმებში.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები
- სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია
- ,,ქიმიის კაბინეტში მუშაობის წესები”
- ,,ლაბორატორიის გამოყენების წესი” (დებულება)
- სკოლის თვითრეფლექსია - „ჩვენი სკოლის იდენტობის მახასიათებლები”

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან

დაკავშირებით უხდება. მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებით, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, საკლასო პროექტები, ფესტივალები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. დოკუმენტაციის გარდა, გასაუბრებისას ამ პროცესის მტკიცებულებად პედაგოგებმა წარმოადგინეს მატერიალურად შექმნილი სხვადასხვა რესურსი და ფოტომასალა.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

შესწავლილი დოკუმენტაციით, პედაგოგების ინტერვიუირებითა და შეფასების ზოგადი რუბრიკების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები შეძლებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებასა და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საბაზო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, შეუძლიათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული

კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი მიმდინარე წლის კურიკულუმის ნიმუშების, კომპლექსური დავალებების, მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტისა და სასწავლო პროექტების მიხედვით მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, რაც ასევე გამოიკვეთა პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, პროექტული ტიპის აქტივობებით, ინტეგრირებული გაკვეთილებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ყოველივე გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს საგანთა ინტეგრირების მიმართულებით მეტი აქცენტების გაკეთებას როგორც საგაკვეთილო, ასევე პროექტების მიმათულებით.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- სასწავლო პროექტები
- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები პროექტის ფარგლებში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;
- სკოლის თვითრეფლექსია - „ჩვენი სკოლის იდენტობის მახასიათებლები”

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება-გააზრებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პედაგოგებმა დეტალურად ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების და მისი შედეგების შესახებ, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ მატერიალური და ელექტრონული სახით შექმნილი რამდენიმე პროდუქტი.
სასწავლო წლის დაწყებამდე, რეკომენდაციის შესაბამისად, *სახელმწიფო ენის* კურიკულუმებში სავალდებულო თემების გათვალისწინებით ასახავენ სამიზნე ცნებებსა და საკითხებს, *მათემატიკის* მიმართულებით დააზუსტებენ ზოგიერთი სამიზნე ცნების ქვეცნებას, დაასრულებენ ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ჩარჩო კურიკულუმებს.
შეესაბამება

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამას მოწმობს განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა, რომლის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალები განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე (ჩატარებული სპექტაკლი, კონკურსი, ლიტერატურული საღამო). ასევე, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

სკოლის თვითშეფასების კითხვარი, სასკოლო სასწავლო გეგმა და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილი. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩადებულია მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებული რუბრიკები, რომლებიც ზოგადია და მიემართება სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს: პრეზენტაციას, რეფერატს, დისკუსიას, ზეპირ მოხსენებას, კვლევით პროექტს და ა.შ. წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას, თუმცა არაა გამოყოფილი საფეხურების მიხედვით და არაა მისადაგებული კონკრეტულ თემებს. რეკომენდაციის შესაბამისად, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაკონკრეტდება თემების ფარგლებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სასწავლო პროცესში ტესტებითა და რუბრიკებით განხორციელებული შეფასება არის ვალიდური, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის შეფასებაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგები შეიმუშავებენ შეფასების ერთიან რუბრიკებს, რომლის შესახებაც ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს და მათ მშობლებს. კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ შექმნან და დახვეწონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური ტესტის შეფასების ამსახველი დოკუმენტი. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენასა და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის შეფასება და დასკვნების და მიგნებების სამომავლოდ გათვალისწინება. სკოლა მუშაობს, რომ დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ***სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*** **შეესაბამება.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც დაადასტურა მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილმა ნიმუშებმა ზოგი საგნის მიმართულებით და ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებამ. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, სხვადასხვა ცნობები და ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. სამომავლოდ, *ესთეტიკის* მიმართულებით მასწავლებლები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა
- სკოლის სოციალური გვერდი
- კათედრის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო
- სასწავლო პროექტი
- შეფასების მასალა
- სკოლის თვითრეფლექსია - „ჩვენი სკოლის იდენტობის მახასიათებლები”

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
2. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო
კათედრის წევრებთან გასაუბრებასა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც ერთი, ასევე სხვადასხვა კათედრის ფარგლებში. გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, მათ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შეფასების სისტემა, რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მოსწავლეთა ინტერესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით დაგეგმილი სხვადასხვა სახის ღონისძიება და სპორტული აქტივობა საბაზო საფეხურზე, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

პედაგოგები ორიენტირებული არიან თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე, წარმატებასა და პროგრესზე, რაც დიფერენცირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის, წინასწარ განსაზღვრავენ მოსწავლის განვითარებაზე მორგებულ სასწავლო რესურსებს, რომელიც ეხმარება მათ სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებებს ასახავენ ჩარჩო კურიკულუმში. ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლა სამომავლოდ კომპლექსური დავალებების დამატებით, ახალი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერებით, კათედრების კიდევ უფრო გააქტიურებით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით, სადიაგნოსტიკო წერებითა და მათი ანალიზით მნიშვნელოვნად განავითარებს მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას, რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „კრიტიკული მეგობარი“.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში, რიგი ღონისძიებები და აქტივობები წარმოდგენილი სკოლის სოციალურ გვერდზე.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები
- სკოლის სოციალური გვერდი
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- სკოლის მისია, მიზანი და ღირებულებები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შეფასების აღწერითი დოკუმენტი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკულუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმებს. ასევე, მითითებულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). აქედან გამომდინარე, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, დგინდება რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესებზე დაკვირვების და კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების ანალიზი ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების რუბრიკები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ინფორმაციის მისაღებად ითვალისწინებენ შეფასების სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, სხვა მასწავლებელს, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალს. გამოავლენენ მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს, რომელსაც ითვალისწინებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად. 2023-2024 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება. ასევე, სკოლის თვითშეფასებიდან ჩანს, რომ სკოლა სამომავლოდ ჩაატარებს კვლევას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით: მოახდენს მოსწავლეთა უნარების დიფერენცირებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეებზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პროექტები
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი
სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე როგორ უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექციის ჩართულობა. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით განავითარებს კურიკულუმებს.
შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ამაზე კოორდინირებულად იმუშავებენ საგნობრივი კათედრები.
შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)

საშუალო საფეხურის კურიკულუმი	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საშუალო კლასების პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. აგრეთვე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედურ მიზნებს შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი თემატური ერთეული, თემის შესაბამისი საინტერესო კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავებისას ანალიზებენ საშუალო საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასაც, რასაც მოწმობს „მშობლის ბარათები“, რომლებიც დანერგილია სკოლაში. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები, დაკვირვებები და მიგნებები საშუალებას იძლევა, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე იყოს ორიენტირებული.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსა და ინტერვიუებში ჩანს, თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა, პროცესში ჩართულია ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების გამოყენება შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. საშუალო საფეხურზე აქტიურად ერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც, კერძოდ, მასწავლებლებს მათთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების განსაზღვრაში, რასაც შემდგომ ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, რესურსებისა და აქტივობების სახით.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგების ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობა, მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდებათ უკუკავშირის მიღების მიზნით. ასევე, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ სხვადასხვა ინსტრუმენტებით მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და ჩართულობა კურიკულუმების შემუშავებაში. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კათედრების და დირექციის წარმომადგენლები შეთანხმებულად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რომელშიც უკეთესად იქნება ასახული საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებული ვარიანტი აუცილებლად გამოიკვრება სტენდზე, სამომავლოდ აიტვირთება სკოლის ვებგვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იქნება, ასევე, მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ მოხდება მშობელთა ინფორმირება. სადამრიგებლო საათზე მოსწავლეებსაც გააცნობენ კურიკულუმის ძირითადი ნაწილების შესახებ ინფორმაციას. შედეგად სასკოლო თემის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ მიკუთვნებულობისა და საჯაროობის განცდა. მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი გაიწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, რომელიც ამჟამად ზოგადია, გაწერილია პრინციპები, თუმცა არაა დაკონკრეტებული/ჩაშლილი ის ნაბიჯები და აქტივობები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ჩართულობისა და თანამონაწილეობის პრინციპების რეალიზება.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- 2023-2024 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- პროექტები ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში
- საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების რუბრიკები

- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. აღინიშნა, რომ უპირატესობას ცხოვრებისეულ კონტექსტზე აგებულ კომპლექსურ დავალებებს ანიჭებენ, რადგან მოსწავლე ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023 წლის სექტემბრამდე მოხდება კურიკულუმების დახვეწა და ყველა საჭირო შესწორების შეტანა.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საშუალო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გარკვეული გამოცდილება სასწავლო პროექტების განხორციელების და მომავალშიც გეგმავენ კურიკულუმში მათ ინტეგრირებას. მაგალითად დაასახელეს ქიმიის მასწავლებლის ორგანიზებით განხორციელებული მასშტაბური პროექტი („სოფლის სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი"), რომელიც თავისი მნიშვნელობით გლობალური იყო თემისთვის და მიემართებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს - გლობალური ფუნქციური უნარებს, მაკროცნებებს, სამიზნე ცნებებსა და შედეგებს.

კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქცენტს აკეთებენ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიბებაზე, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ასევე აღნიშნეს, რომ ახლაც მუშაობენ კურიკულუმების დახვეწაზე და 2023 სასწავლო წლის დაწყებამდე, რეკომენდაციის შესაბამისად, ცვლილებებს შეიტანენ მათემატიკის კურიკულუმებში.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით და ინტერვიუირების დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. სკოლის სასწავლო გეგმაში ჩანს საკითხის პრიორიტეტულობა და ისიც, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას. სასკოლო სასწავლო გეგმის 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლებში დეტალურადაა გაწერილი აღნიშნული პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, დანართების სახითაა წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლა იცნობს მრავალფეროვან შეფასების ტიპებს და აქვს მზაობა შემდგომში იმუშაოს ამ მიმართულებით. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მიღწევების შეფასებას. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სამომავლოდ კათედრების მიერ წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკები დაიხვეწება და დაზუსტდება კონკრეტულ თემებთან, საკითხებთან, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებისა და პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს მუშაობის გაუმჯობესებას. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარება და მიღებული შედეგების ასახვა საგნობრივ კურიკულუმებში.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები
- სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია
- ,,ქიმიის კაბინეტში მუშაობის წესები"
- ,,ლაბორატორიის გამოყენების წესი" (დებულება)
- სკოლის თვითრეფლექსია - „ჩვენი სკოლის იდენტობის მახასიათებლები"

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებით უხდება. მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებით, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, საკლასო პროექტები, ფესტივალები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. დოკუმენტაციის გარდა, გასაუბრებისას ამ პროცესის მტკიცებულებად პედაგოგებმა წარმოადგინეს მატერიალურად შექმნილი სხვადასხვა რესურსი და ფოტომასალა.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

შესწავლილი დოკუმენტაციით, პედაგოგების ინტერვიუირებითა და შეფასების ზოგადი რუბრიკების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები შეძლებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებასა და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საშუალო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, შეუძლიათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი მიმდინარე წლის კურიკულუმის ნიმუშების, კომპლექსური დავალებების, მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტისა და სასწავლო პროექტების მიხედვით მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, რაც ასევე გამოიკვეთა პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, პროექტული ტიპის აქტივობებით, ინტეგრირებული გაკვეთილებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ყოველივე გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს საგანთა ინტეგრირების მიმართულებით მეტი აქცენტების გაკეთებას როგორც საგაკვეთილო, ასევე პროექტების მიმათულებით.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები

- კომპლექსური დავალებების ბარათები
- სასწავლო პროექტები
- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები პროექტის ფარგლებში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;
- სკოლის თვითრეფლექსია - „ჩვენი სკოლის იდენტობის მახასიათებლები"

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება-გააზრებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პედაგოგებმა დეტალურად ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების და

მისი შედეგების შესახებ, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ მატერიალური და ელექტრონული სახით შექმნილი რამდენიმე პროდუქტი.
სასწავლო წლის დაწყებამდე, რეკომენდაციის შესაბამისად, *სახელმწიფო ენის* კურიკულუმებში სავალდებულო თემების გათვალისწინებით ასახავენ სამიზნე ცნებებსა და საკითხებს, *მათემატიკის* მიმართულებით დააზუსტებენ ზოგიერთი სამიზნე ცნების ქვეცნებას, დაასრულებენ ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ჩარჩო კურიკულუმებს.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამას მოწმობს განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა, რომლის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალები განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე (ჩატარებული სპექტაკლი, კონკურსი, ლიტერატურული საღამო). ასევე, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში.
შეესაბამება

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

სკოლის თვითშეფასების კითხვარი, სასკოლო სასწავლო გეგმა და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილი. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩადებულია მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებული რუბრიკები, რომლებიც ზოგადია და მიემართება სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს: პრეზენტაციას, რეფერატს, დისკუსიას, ზეპირ მოხსენებას, კვლევით პროექტს და ა.შ. წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას, თუმცა არაა გამოყოფილი საფეხურების მიხედვით და არაა მისადაგებული კონკრეტულ თემებს. რეკომენდაციის შესაბამისად, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაკონკრეტდება თემების ფარგლებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სასწავლო პროცესში ტესტებითა და რუბრიკებით განხორციელებული შეფასება არის ვალიდური, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის შეფასებაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგები შეიმუშავებენ შეფასების ერთიან რუბრიკებს, რომლის შესახებაც ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს და მათ მშობლებს. კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ შექმნან და დახვეწონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეესაბამება

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური ტესტის შეფასების ამსახველი დოკუმენტი. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენასა და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის შეფასება და დასკვნების და მიგნებების სამომავლოდ გათვალისწინება. სკოლა მუშაობს, რომ დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ***სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი***

შეესაბამება

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც დაადასტურა მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილმა ნიმუშებმა ზოგი საგნის მიმართულებით და ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებამ. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, სხვადასხვა ცნობები

და ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. სამომავლოდ, *ესთეტიკის*მიმართულებით მასწავლებლები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა
- სკოლის სოციალური გვერდი
- კათედრის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო
- სასწავლო პროექტი
- შეფასების მასალა
- სკოლის თვითრეფლექსია - „ჩვენი სკოლის იდენტობის მახასიათებლები”

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო
კათედრის წევრებთან გასაუბრებასა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც ერთი, ასევე სხვადასხვა კათედრის

ფარგლებში. გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, მათ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შეფასების სისტემა, რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მოსწავლეთა ინტერესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით დაგეგმილი სხვადასხვა სახის ღონისძიება და სპორტული აქტივობა საშუალო საფეხურზე, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

პედაგოგები ორიენტირებული არიან თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე, წარმატებასა და პროგრესზე, რაც დიფერენცირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის, წინასწარ განსაზღვრავენ მოსწავლის განვითარებაზე მორგებულ სასწავლო რესურსებს, რომელიც ეხმარება მათ სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებებს ასახავენ ჩარჩო კურიკულუმში. ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლა სამომავლოდ კომპლექსური დავალებების დამატებით, ახალი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერებით, კათედრების კიდევ უფრო გააქტიურებით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით, სადიაგნოსტიკო წერებითა და მათი ანალიზით მნიშვნელოვნად განავითარებს მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას, რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „ კრიტიკული მეგობარი“.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში, რიგი ღონისძიებები და აქტივობები წარმოდგენილი სკოლის სოციალურ გვერდზე.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები
- სკოლის სოციალური გვერდი
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- სკოლის მისია, მიზანი და ღირებულებები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შეფასების აღწერითი დოკუმენტი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

✓ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკულუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმებს. ასევე, მითითებულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის

ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). აქედან გამომდინარე, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, დგინდება რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესებზე დაკვირვების და კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების ანალიზი ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების რუბრიკები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საშუალო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში.

შეესაბამება

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

შეესაბამება

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ინფორმაციის მისაღებად ითვალისწინებენ შეფასების სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა

მრავალფეროვან წყაროებს - გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, სხვა მასწავლებელს, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალს. გამოავლენენ მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს, რომელსაც ითვალისწინებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად. 2023-2024 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება. ასევე, სკოლის თვითშეფასებიდან ჩანს, რომ სკოლა სამომავლოდ ჩაატარებს კვლევას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით: მოახდენს მოსწავლეთა უნარების დიფერენცირებას.

შეესაბამება

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეებზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პროექტები
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი
სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე როგორ უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექციის ჩართულობა. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით განავითარებს კურიკულუმებს.
შეესაბამება

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ამაზე კოორდინირებულად იმუშავებენ საგნობრივი კათედრები.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი **12-10-2023**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლევან ღურწკაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თინათინ ბედუკაძე

ია ვარდოსანიძე

ხათუნა ქერაშვილი

ია გაგნიძე

ნიკა უთალიშვილი

მარინე ახალაია

ელიზა ბაგალიშვილი

ნათია ბრეგაძე

სალომე არაბიძე

კობა დეკანაძე